მოზრდილთა სწავლების მოდელები

სასწავლო პროგრამა ოჯახის ექიმებისა და ზოგადსაექიმო პრაქტიკის მასწავლებლებისთვის

მოზრდილთა სწავლების მოდელები

ძირეული პრინციპი:

„მოვძებნოთ გზა, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებელს ასწავლოს, რაც შეიძლება ნაკლები, ხოლო მოსწავლეს ისწავლოს რაც შეიძლება მეტი.“



პოსტდიპლომური განათლების თავისებურებები

- დღესდღეობით, კარიერის შეცვლის მზარდი ტენდენციების გამო, სულ უფრო იზრდება „გამოცდილი“ მოსწავლეების რიცხვი;
- მოზრდილი მოსწავლისთვის დამახასიათებელია:
  - სიმწიფე
  - დამოუკიდებლობა
  - საკუთარი თავის მართვის უნარი
  - სურვილი, ხელი შეუწყოს განმანათლებელს
  - კარგად ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმი
- ტრენერმა (მასწავლებელმა) თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურად უნდა შექმნას მოქნილი საგანმანათლებლო სტილი.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლესა და მასწავლებებლს\შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

მოზრდილთა სწავლების აუცილებელი პირობა

- განათლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება
- საგანმანათლებლო მოდელის შესაფერისად შერჩევა
- განმანათლებლის როლის ახლებურად ფორმირება: დიდაქტიკოსი მასწავლებლის როლი ფასილიტატორის როლით იცვლება

საგანმანათლებლო მოდელი სასკოლო სწავლებისთვის

- მისი მიზანი ბავშვების სწავლებაა;
- მასწავლებელს ენიჭება სრული პასუხისმგებლობა თავად მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება შინაარსის, მეთოდის, სწავლების დროისა და ევალუაციის (შეფასების) შესახებ;



მოზრდილთა სწავლების მოდელის თავისებურებები

- მოზრდილისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ სჭირდება მას კონკრეტული საკითხის შესწავლა;
- მოზრდილი ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების მართვის პასუხისმგებლობის კონცეფცია;
- მოზრდილები საგანმანათლებლო პროცესს უფრო მყარი ცოდნითა და დიდი გამოცდილებით დატვირთულები უერთდებიან, ვიდრე ბავშვები;

მოზრდილთა სწავლების მოდელის თავისებურებები (გაგრძ)

- მოზრდილები მზად არიან ისწავლონ ის, რაც მათ რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციების ეფექტური მართვისათვის სჭირდებათ;
- მოზრდილთა სასწავლო ორიენტაციას ცხოვრებისეული რეალობა განაპირობებს;
- მოზრდილთა მოტივაცია, მეტად შინაგანი ფაქტორებითაა განპირობებული, ვიდრე გარეგანით;

სასწავლო გამოცდილების მნიშვნელობა “მოზრდილთა” სწავლების პროცესში

სასწავლო გამოცდილება, რომელსაც ჯანდაცვის პროფესიონალები ერთიმეორეს გადასცემენ გულისხმობს შემდეგს:

- პროფესიული როლის სრულყოფილი გაცნობიერება და გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ცხოვრებისეული გამოცდილება და ღრმა ცოდნა სხვადასხვა კულტურის თაობაზე;
- კონსულტაციის წარმოების ტექნიკა და შესაფერისი პროფესიული ცოდნა;
- მართვის გამოცდილება და ცოდნა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის შესახებ.

მაგალითები: ორი რეზიდენტის გამოცდილება: ანა

ანა საკმაოდ გამოცდილი ბებიაქალი იყო, რომელსაც სურდა ექიმი გამხდარიყო და ჩამოეყალიბებინა საოჯახო მედიცინის ცენტრი.

სამედიცინო სკოლაში სწავლისას ანა, დამატებითი შემოსავლის მიღების გამო, აგრძელებდა ბებიაქალის მოვალეობების შესრულებას და ამ გზით სათანადო პროფესიულ ჩვევებსაც ინარჩუნებდა.

„მე მომწონს ვიყო უბრალოდ, კიდევ ერთი სტუდენტი, მაგრამ თუ ჩემთვის რაიმე საკითხი გაუგებარი ან ძნელად ასათვისებელია, ვამჯობინებ ინდივიდუალური დახმარება მივიღო.

მე ვხედავ, რომ მასწავლებლები საკმაოდ ყურადღებით ეკიდებიან ამ ამბავს.

მათ ჩემთვის რამდენადმე შეცვალეს ქალთა ჯანმრთელობის მოდულის სტრუქტურა - მირჩიეს მეტი დრო დავუთმო გინეკოლოგიას და ნაკლები მეანობას. მიმაჩნია, რომ ეს სწორედ ის არის, რაც მე მჭირდება."

მაგალითები: ორი რეზიდენტის გამოცდილება: ელენე

ტრეინინგი 35 წლის ასაკში დავიწყე.

ამ დროისათვის მე უკვე ვიყავი მეცნიერი, მასწავლებელი და საზღვარგარეთ ჯანდაცვის სისტემის განვითარების პროექტების მართვაში ვიღებდი მონაწილეობას.

მე ველოდი, რომ ჩემი გამოცდილება სასარგებლო, ღირებული და დასაფასებელი იქნებოდა. სამწუხაროდ, თურმე ძალიან ვცდებოდი. ამ პროგრამაში სტუდენტებს, ისე ეპყრობოდნენ, როგორც გამოუცდელ და უპასუხისმგებლო ადამიანებს. ეს საკმაოდ შეურაცხმყოფელია მათთვის, ვინც თავს ჩამოყალიბებულ პიროვნებად, პროფესიონალად მიიჩნევს და შემდგომი სრულყოფის სურვილი აქვს.

ჩემი აზრით, პოსტდიპლომურ ეტაპზე ასეთი მიდგომა კატეგორიულად დაუშვებელია."

გამოცდილების მნიშვნელობა

გამოცდილება
მიღწეული
პრაქტიკული მოღვაწეობით

მასალა, რომელიც ასახვის საშუალებას იძლევა
კონსოლიდაცია
ინტერპრეტაცია
საფუძვლების განსაზღვრა
კონცეფციები და თეორიები
მოსწავლის დამოკიდებულება
ამა თუ იმ საკითხის მიმართ და
მისი ფასეულობები

მომზადება უფრო
სპეციფიკური
სწავლისათვის
ჩვევები და ცოდნა,
რომელიც
ინდივიდუალური
ვარიაბელობით
ხასიათდება

სწავლისა და სწავლების სტილი
სწავლების ეტაპებ
(Gerald Grow, 1991)

სწავლების ეტაპები	მასწავლებლის სტილი				
		ავტორიტარული ექსპერტი	მოტივატორი	ფასილიტატორი	მასწავლებელი დელეგირებს
	დამოკიდებული მოსწავლე	შეესაბამება	თითქმის შეესაბამება	შეუსაბამობა	მძიმე შეუსაბამობა
	დაინტერესებული მოსწავლე	თითქმის შეესაბამება	შეესაბამება	თითქმის შეესაბამება	შეუსაბამობა
	პროცესში სრულად ჩართული მოსწავლე	შეუსაბამობა	თითქმის შეესაბამება	შეესაბამება	თითქმის შეესაბამება
	მოსწავლე, რომელიც თავად წარმართავს პროცესს	მძიმე შეუსაბამობა	შეუსაბამობა	თითქმის შეესაბამება	შეესაბამება

მაგალითი

ლაურა

ლაურა ზოგადი პრაქტიკის ექიმი იყო.

ამასთან, იგი გარკვეულ საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა და რაღაც პერიოდი ჯანდაცვის მმართველობით ორგანოებშიც მოუწია მუშაობა. რამდენიმე ხნის წინ მან გადაწყვიტა გაევლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სასწავლო პროგრამა, რათა შემდეგ ჯანდაცვის მმართველობით სისტემაში უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაობის უფლება მიეღო.

ტრეინიგის დაწყებიდან რამდენიმე ხანში ლაურა წერდა:

მე საშუალებას მაძლევენ გავერკვიო და ჩავერიო თითქმის ყველაფერში, ეს იმდენად სახალისოა. . . არაჩვეულებრივ ადამიანებთან მიწევს მუშაობა.

ჩემი წარსული გამოცდილება საშუალებას მაძლევს სწრაფად გავერკვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასპექტებში, ისინი ვისთანაც მე მიწევს მუშაობა კარგად ხედავენ ამას."

მაგალითი

სარა

სარამ რამდენიმე საპასუხისმგებლო პოსტი გამოიცვალა, იგი ბევრს მოგზაურობდა და სერიოზული ტრეინინგი გაიარა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ისე, რომ კონსულტანტის პოზიციასაც მიაღწია.

ათი წლის განმავლობაში იგი კლინიკური საქმიანობით დაკავებული აღარ ყოფილა, თუმცა ახლა გადაწყვიტა დაბრუნებოდა საექიმო საქმიანობას და გაევლო სასწავლო პროგრამა ოჯახს ექიმებისთვის.

ტრეინიგის დაწყებიდან რამოდენიმე ხანში სარა წერდა:

"მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადამიანები ჩემზე მხოლოდ ჩემი კლინიკური ექსპერტიზის მიხედვით მსჯელობენ. მათი მოლოდინი და დამოკიდებულება ჩემს მიმართ ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი რეზიდენტის მიმართ შეიძლება ყოფილიყო. მე ვცადე გამომეთქვა აზრი პრაქტიკის განვითარებისა და ორგანიზაციული ასპექტების თაობაზე, სადაც უდიდესი გამოცდილება მაქვს, თუმცა, როგორც ვხედავ ეს არავის აინტერესებს."

საკითხი დისკუსიისთვის

იმსჯელეთ რა განსხვავებაა ამ ორ შემთხვევას შორის.

რას შეეძლო ამ განსხვავების გამოწვევა?

მოზრდილი მოსწავლეების მთავარი მახასიათებელი ნიშნები

მოზრდილი მოსწავლეები:

- არ არიან დამწყებები და უწყვეტ განვითარებას განიცდიან;
- ყოველი მათგანი განათლების მისაღებად მოდის საკუთარი უნიკალური გამოცდილებით;
- განათლების პროცესში ისინი მიზანდასახულად ერთვებიან;
- მათ აქვთ გარკვეული მოლოდინი განათლების პროცესის მიმართ;
- რეალური ცხოვრებიდან გამომდინარე აქვთ კონკურენციის ინტერესები
- მათ უკვე აქვთ შემუშავებული სწავლის საკუთარი მეთოდები;

მოზრდილთა სწავლების ეფექტურობის პირობები

- მოსწავლე აქტიურად არის ჩართული სწავლებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებში;
- მას აქვს თვით-მოტივაციის საშუალება;
- მასწავლებელს არა აქვს დიდაქტიკოსი ინსტრუქტორის ფუნქცია;
- მხედველობაში მიიღება თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და სტილი;
- მყარდება სწავლისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო;
- სწავლების პროცესში ხდება მოსწავლის გამოცდილების გამოყენება;
- სასწავლო პროცესი შეესაბამება მოსწავლის პირად საჭიროებებს;

"მოზრდილი მოსწავლეები" და შესაფერისი საგანმანათლებლო მოდელები

მოსწავლის მახასიათებლები	რა განაპირობებს პოზიტიურ პარტნიორობას	საგანმანათლებლო მოდელები
სიმწიფე	ასაკის მიუხედავად ორმხრივი პატივისცემა	მოზრდილთა სწავლების მოდელი
გამოცდილება	მოსწავლეს მოაქვს თავისი გამოცდილება	უწყვეტი პროფესიული განათლების მოდელი
თვით მართვა	მოსწავლე პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ განათლებაზე, მასწავლებელი კი ხელს უწყობს მას	მოსწავლის განვითარების ეტაპების შესაბამისობა მასწავლებლის სტილთან
პოზიტიური კონტრიბუცია	სწავლება სახალისო და სასიამოვნოა ორივე მხარისათვის	გარიგებითი ანალიზი- "მოზრდილი-მოზრდილთან" ურთიერთობის მოდელი
ინდივიდუალიზმი	მასწავლებლის მიდგომის სათანადოდ ადაპტირება	პერსონალური განვითარების გეგმა

განათლების ფილოსოფია

- იმ რწმენის და ფასეულობათა ერთობლიობაა, რომელიც საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო პროცესს;

მოიცავს

- პიროვნებათაშორისი ურთიერთობის ეთიკის საკითხებს,
- სასწავლო პროგრამის მიზნებს, შინაარსსა და პრიორიტეტებს.

განსაზღვრავს

- ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოს შინაარსს
- სწავლისა და სწავლების მეთოდებს
- აფასებს წარმატებას მიზნის მიღწევის გზაზე
- აყალიბებს ნათელ ხედვას, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ პრაქტიკული საკითხებით

ტრეინინგი(წვრთვნა) და სწავლება (Teaching)

რა განსხვავებაა ამ ორ პროცესს შორის



ტრადიციული განათლება

- სწავლებისა და არა სწავლის უპირატესობები
- მასწავლებელი არჩევს იმ საკითხებს, რომელიც მისი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია სტუდენტისათვის
- ინფორმაცია მიეწოდება ლოგიკურად სტრუქტურირებული სახით
- შესაძლებელია მეტი ინფორმაციის მიწოდება ნაკლები დროის განმავლობაში
- შესაძლებელია მეტი რაოდენობით სტუდენტების სწავლება
- ადვილია სტუდენტების შეფასება

ტრადიციული განათლება

- სტუდენტის ინიციატივა შეზღუდულია
- იგნორირებულია სტუდენტის შეხედულება და ინტერესი
- ორიენტირებულია პასიური ცოდნის შეძენასა და არა კრიტიკულ შეფასებაზე
- ხასიათდება ნაკლები მოტივაციით ხანგრძლივი სწავლისათვის

პედაგოგიკა

- ასტიმულირებს ერთაზროვან ფიქრსა და მექანიკურ სწავლას
- სავალდებულოა
- ორიენტირებულია მასწავლებელზე
- ინფორმაციის გადაცემა ხდება მოსწავლის მხრიდან მინიმალური კონტროლის პირობებში

ანდროგოგია

- განათლება თავისუფლებაა
- ასტიმულირებს განსხვავებულ აზროვნებასა და აქტიურ სწავლას
- როგორიც არ უნდა იყოს კურიკულუმი, მაინც არსებობს მეტ-ნაკლები გაურკვევლობა გამოსავლის შესახებ
- სწავლისა და სწავლების როლები შერეულია
- იგი ხაზს უსვამს სწავლის ასიმილაციას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან
- ნებაყოფლობითია, ორიენტირებულია მოსწავლეზე და სახავს უწყვეტი სწავლის პერსპექტივებს
- მოზრდილებს ესაჭიროებათ დამოუკიდებლობა და საკუთარი სწავლის თვით-გაკონტროლება

ყველაზე წარმატებული სწავლა

- ემყარება იმას, რაც უკვე იცის მოსწავლემ
- მიმდინარეობს თავად მოსწავლის მიერ იდენტიფიცირებული სასწავლო საჭიროებების შესაბამისად
- მოიცავს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას
- იყენებს მოსწავლეთა საკუთარ რესურსებს
- დროდადრო მოიცავს შესაბამის უკუგებას
- მოიცავს თვით-შეფასებას

სწავლის სტილი

ყველას გაჩნის მისთვის უპირატესი
სწავლის სტილი

თეორიები:

კოლბი

Honey&Mamford

სწავლის ციკლი (კოლბი 1984)



სწავლის სტილი კოლბი

- კონვერგენციული სტილი (გარდამქმნელი)_ხედავს იდეების პრაქტიკულ მნიშვნელობას;
- დივერგენციული სტილი_აქვს კარგი წარმოსახვის უნარი და ახდენს იდეების გენერირებას;
- ასიმილატორი_ქმნის თეორიულ მოდელებს და გამოთქვამს მოსაზრებებს, რეალობასთან მათი შეუსაბამობის თაობაზე;
- აკომოდაციური სტილი_სახავს გეგმებს და ამოცანებს, რაც მას ახალი გამოცდილების შეძენის საშუალებას აძლევს.


აქტიური ექსპერიმენტირება
კონვერგენციული სტილი
აკომოდაციული სტილი
აბსტრაქტული კონცეპტუალიზაცია
კონკრეტული გამოცდილება
ასიმილაციური სტილი
დივერგენციული სტილი
რეფლექტური დაკვირვება

სწავლის სტილი
Honey, Mumford-ის (1982) თეორია

- აქტივისტები
- რეფლექტისტები
- თეორეტიკოსები
- პრაგმატიკოსები

აქტივისტები

- მოსწონთ, როდესაც მთლიანად არიან ჩართული ახალ გამოცდილებაში
- ახასიათებთ გახსნილი აზროვნება
- მოსწონთ ცენტრალური ადგილის დაკავება ახალი იდეების წამოყენებისა და გენერირების პროცესში
- მალე ბეზრდებათ ექსპერიმენტები და მიისწრაფიან ახალი მიზნებისაკენ

რეფლექტისტები

- მოსწონთ უკანა პლანზე დგომა
- დასკვნის გამოტანამდე რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას მოიპოვებენ
- მოქმედების დაწყებამდე მათ მოსწონთ აქტივისტებზე დაკვირვება და მათი განსჯა
- მათი ფილოსოფია სიფრთხილის ფილოსოფიაა
- ისინი სხვებს უსმენენ და საკუთარი აზრის გამოტანამდე, პასიურ პოლიტიკას ამჯობინებენ

თეორეტიკოსები

- უყვართ დაკვირვების შედეგად შექმნილი აზრის გაერთიანება და ინტეგრირება ლოგიკური მოდელების სახით
- ახასიათებთ სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, დამოუკიდებლობა, ანალიტიკურობა და ობიექტურობა
- მათი ფილოსოფია აღმერთებს რაციონალურობასა და ლოგიკურობას: "თუ ეს ლოგიკურია, ე.ი. ეს კარგია"

პრაგმატიკოსები

- პრაგმატიკოსებს მოსწონთ იდეების, თეორიებისა და ტექნიკის გამოცდა სხვაგან იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს პრაქტიკაში მუშაობს
- ისინი სწრაფად და დარწმუნებულად მოქმედებენ იმ იდეების განსახორციელებლად, რომელიც მათთვის მიმზიდველია
- სწავლის საუკეთესო შედეგს აღწევენ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კავშირი საგანსა და მათ სამუშაოს შორის
- ისინი უაღრესად პრაქტიკული, მიწიერი ადამიანები არიან, რომელთაც მოსწონთ პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაწყვეტა

სწავლის სტილი და სწავლის ციკლი

კოლბი (1984) ჰონი და მამფორდი (1986)



მასწავლებლის სწავლების სტილები
ქვირკი (1994)

- დაჟინებული (*Assertive)* – მასწავლებელი ძირითადად საკუთარი თავის წარმოჩინებას ცდილობს და პროცესის მიმართულება დირექტიულია
- შემთავაზებელი (*Suggestive)* ახასიათებს იდეებისა და აზრების შეთავაზების ტენდენცია
- თანამშრომლური *(Collaborative)* - ახდენს მოსწავლის სიძნელეების იდენტიფიცირებასა და გაგებით ეკიდება მათ
- ხელშემწყობი (*Facilitative)* – ახალისებს მოსწავლეს, განიცადოს პროგრესი, საკუთარი ჩვევების გამოყენებისა და განვითარების გზით.

რეკომენდაციები

- გააცნობიერეთ, რომ თქვენი, საკუთარი სწავლის მეთოდი დიდ გავლენას მოახდენს თქვენი, როგორც მასწავლებლის სწავლების მეთოდებზე.
- მზად იყავით იმ სწავლების მეთოდების ასათვისებლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად, რომლებიც არ არის თქვენთვის მაინცდამაინც მოსახერხებელი.
- გააცნობიერეთ, რომ მოზრდილ მოსწავლეებს მყარად ჩამოყალიბებული კონცეფციები აქვთ, სწავლის შესახებ.
- შეფასების მეთოდები უნდა იყოს რეალისტური და მრავალფეროვანი. მოზრდილი მოსწავლეები ხშირად არ იქნებიან ერთსულოვანნი თქვენი, როგორც მასწავლებლის (კურსის ორგანიზატორის) შეფასებისას.
- ეცადეთ, რომ სწავლების გარკვეული მეთოდები არ დააკავშიროთ გონიერებასთან.